

## კოლეჯი - საგანმანათლებლო დაწესებულება დიდ ბრიტანეთში დალი ჭედაია

სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, მაძიებელი

### ანოტაცია

სპეციალური სასწავლებელი კოლეჯი დიდ ბრიტანეთში აღმოცენდა მე-12 საუკუნეში.

კოლეჯები ამზადებენ უმაღლესი კვალიფიკაციის მუშებს, ოსტატებსა და ტექნიკოსებს. ამასთანავე ნებისმიერი პროფესიის სპეციალისტებს.

ინგლისში განათლების ინსტიტუტი საკმაოდ რთული ორგანიზაციაა. ლონდონში არსებული ყველა პედაგოგიური კოლეჯი ამ ინსტიტუტებს ექვემდებარება.

უმაღლესი განათლება დიდ ბრიტანეთში ტრადიციულად იყოფა „ხარისხამდელი“ (Undergraduate Courses) და „ხარისხის შემდგომი“ (Postgraduate Courses) სწავლების დონეებად.

დიდ ბრიტანეთში არსებობს ხარისხის რამდენიმე ტიპი, რომელთა სახელწოდება დამოკიდებულია სწავლების სპეციალიზაციაზე.

სტუდენტის მომზადება ბაკალავრის ხარისხისათვის მიმდინარეობს სამი წლის განმავლობაში, ხოლო ცალკეულ სპეციალობაზე - არქიტექტურულზე და სამედიცინოზე 5-6 წელი.

საგნის ათვისების დონე, ძირითადად (შეფასების 50-80 პროცენტი) გამოცდით ფასდება.

აქ სტუდენტებისაგან მოითხოვენ პასუხისმგებლობას, საქმის ღრმა ცოდნას და მაღალ პროფესიონალიზმს, რომელიც უმთავრესია მათი მომავალი საქმიანობისათვის.

### საკვანძო სიტყვები: კოლეჯი, დიდი ბრიტანეთი,

დიდ ბრიტანეთში სამი დონის კოლეჯია:

პირველი - კოლეჯი, რომელიც უმაღლესი სკოლის პირველი საფეხურის პროგრამას სთავაზობს საზოგადოებას;

მეორე - კოლეჯი, რომელიც გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს საშუალო და უმაღლეს სკოლას შორის.

მესამე - კოლეჯი, რომელიც ასრულებს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფუნქციას.

კოლეჯები ამზადებენ უმაღლესი კვალიფიკაციის მუშებს, ოსტატებსა და ტექნიკოსებს. უმაღლესი კვალიფიკაციის ინჟინრებს ამზადებენ უნივერსიტეტების შემადგენლობაში შემავალი კოლეჯები, მაგრამ ტრადიციულად კოლეჯებს უწოდებენ ზოგიერთ ძველ პრივილეგიურ საშუალო - სკოლას მაგ: (იტონის კოლეჯი, უინჩესტერის კოლეჯი, და სხვა), აგრეთვე ზოგიერთ კერძო ძვირადღირებულ სასწავლებლებსაც.

დღეს, ინგლისის უნივერსიტეტები სწავლების ორგანიზაციის მიხედვით სამ ტიპად არის დაყოფილი: ოქსფორდის, კემბრიჯისა და დარემის უნივერსიტეტები, რომელთაც გააჩნიათ თავიანთი კოლეჯი - ინტერნატი, როგორც დამოუკიდებელი თვითმართველობითი კორპორაცია.

ოქსფორდის უნივერსიტეტი თავდაპირველად რამდენიმე სახლ - კოლეჯად ფუნქციონირებდა, რომელშიც სტუდენტები ცხოვრობდნენ და პარალელულად იმ

დროისათვის გამოჩენილ მეცნიერთა ლექციებს ისმენდნენ. სწორედ მასში მოღვაწეობდნენ ისეთი უდიდესი მოღვაწეები, როგორც იყვნენ ერაზმ როტერდამელი, თომას მორი, ადამ სმიტი და სხვა გამოჩენილი ადამიანები.

1209 წელს ინგლისში, ქალაქ კემბრიჯში, იხსნება მეორე საუნივერსიტეტო ცენტრი. ეს იყო დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, რომელიც რამდენიმე კოლეჯისაგან შედგებოდა. დღეს ეს კოლეჯები დარგობრივი ინსტიტუტის ფუნქციას ასრულებენ.

1977 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტში იყო 28 ვაჟთა და ქალთა კოლეჯი: კლასიკური, ღვთისმეტყველების, მუსიკის, ისტორიის, ფილოსოფიის, საინჟინრო, მათემატიკის, ფიზ-ქიმიის, არქეოლოგიის (2-ფაკულტეტი) სამედიცინო და პედაგოგიური, საინჟინრო ქიმიის ფაკულტეტები.

ინგლისში სახელმწიფო სკოლების გვერდით არსებობს ე.წ. “დამოუკიდებელი” კერძო სკოლები, რომელთაგან პრივილეგიურია პაბილ სქულზის (იტონის კოლეჯი, ჰაროუ უინჩესტერი და სხვა).

იტონის კოლეჯი, ინგლისის არისტოკრატ ვაჟთა სკოლა, პაბლიკ სქულზის დიდი ბრიტანეთის კერძო პროფილის საშუალო სკოლის კლასიკური ნიმუშია. იგი მეფე ჰენრი მეოთხემ დაარსა 1440 წელს. იტონის კოლეჯის ამოცანაა მომავალი სახელმწიფოს ხელმძღვანელი მოღვაწეებისათვის ზოგადი საშ. განათლების მიცემა; სწავლების კურსში დღესაც დიდი ადგილი ეთმობა კლასიკური ენების შესწავლას. იტონის კოლეჯს წამყვანი ადგილი ეკუთვნის ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების კონტიგენტის მომზადებაში, სადაც სწავლას ეუფლება 1180 მოსწავლე.

უმაღლესი განათლება დიდ ბრიტანეთში ტრადიციულად იყოფა “ხარისხამდელი” (Under graduate Courses) და “ხარისხიანი” (Postgraduate Courses) სწავლების დონეებად.

დიდ ბრიტანეთში არსებობს ბაკალავრის ხარისხის რამდენიმე ტიპი, რომელთა სახელწოდება დამოკიდებულია სწავლების სპეციალიზაციაზე. მათ შორის ძირითადია:

- I. ბაკალავრი ხელოვნების დარგში - BA(Bacheior of Arts);
- II. ბაკალავრი მეცნიერების დარგში - BBSC( Bachelor of seicnee);
- III. ბაკალავრი საინჟინრო დარგში - Beng(Bachelor of Engineering);
- IV. ბაკალავრი იურუდიულ სფეროში - LLB(Bachelor of Law ).

არსებობს ბაკალავრის კიდევ რამდენიმე ხარისხი, მაგალითად მედიცინასა და სტომატოლოგიაში. საგულისხმოა რომ, ბაკალავრის ხარისხის მინიჭება ხდება უნივერსიტეტის, ინსტიტუტის ან კოლეჯის დღის განყოფილებაზე სპეციალიზებული პროგრამებით 3 - 4 წლიანი სწავლის შემდეგ. ეს ხარისხი შესაძლებლობას იძლევა კარგი თანამდებობის დაკავებისა კერძო ან სახელმწიფო კომპანიებში, სამრეწველო საწარმოების საშუალო საინჟინრო - ტექნიკურ, ან საშუალო-ხელმძღვანელ რგოლში, ასევე ამ ხარისხით შესაძლებელია კერძო პრაქტიკის წარმოება.

მაშასადამე ბაკალავრის ხარისხი იძლევა კარგ შანსს, დროთა განმავლობაში პიროვნება დაწინაურდეს სამსახურში და დაიმკვიდროს მაღალი პროფესიონალის ადგილი.

ქვეყანაში განათლების “ხარისხიანი” დონე (Postgraduate Courses) იწყება ბაკალავრის ხარისხის მიღებით და მთავრდება მაგისტრის ან დოქტორის ხარისხის მოპოვებით.

სტუდენტის მომზადება ბაკალავრისათვის მიმდინარეობს სამი წლის განმავლობაში, ხოლო ცალკეულ სპეციალობაზე - არქიტექტურულზე და სამედიცინოზე 5-6 წელი.

უნივერსიტეტები და პოლიტექნიკური კოლეჯები განსხვავდება პროგრამების მომზადების დიაპაზონით. უნივერსიტეტებისაგან განსხვავებით პოლიტექნიკური კოლეჯი იძლევა პროგრამების ფართო არჩევანს, რომელსაც განსაზღვრავს ჩასარიცხი

მოთხოვნები. ეს სტრუქტურები კი, არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საუნივერსიტეტო კურსებს, რომლის დახმარებით ლებულობენ I-ხარისხს, აქვთ აკადემიური დახასიათება. მაშინ როცა ეს კურსები წარმოადგენენ პოლიტექნიკურ კოლეჯს, გააჩნიათ უფრო მიმდევრობითი ხასიათი და შეიცავენ ერთწლიან მაპროფილებელ პრაქტიკას, როგორც 4-5 წლიანი სწავლების კურსები, სადაც დაახლოებით სწავლობენ უმაღლესი განათლების დონეზე. დიდ ბრიტანეთში არსებობს უმაღლესი განათლების 48 კოლეჯი.

ჩვენთვის საინტერესოა, თუ ვის შეუძლია ბრიტანულ კოლეჯში სწავლა?

დიდ ბრიტანეთში განათლების სისტემის გარდაქმნის შედეგად წარმოიქმნა კომპლექსური საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები (Comprehensive schools), სადაც სწავლობენ 11- დან 18-წლამდე ასაკის მოსწავლეები. პროგრამა ყველასათვის საერთოა. ისინი აერთიანებენ კლასიკურ, თანამედროვე საშუალო და საშუალო-ტექნიკურ სასწავლებლებს. სკოლის ტიპები, მათი სახელწოდება და სწავლების მეთოდიკა შეიძლება იყოს ნებისმიერი, მაგრამ გამოცდები საშუალო განათლების სერთიფიკატის (GCSE) მოსაპოვებლად, ერთნაირი და ყველასათვის აუცილებელია.

დიდ ბრიტანეთში არსებობს გამოცდების ან ტესტებისათვის გამიზნული მოსამზადებელი კურსები. ენის შემსწავლელი ბევრი სკოლისა თუ კოლეჯის გამოცდები და ტესტები აღიარებულია უნივერსიტეტების მიერ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში შესვლისათვის.

#### კემბრიჯის გამოცდები:

T – Key English Test;

PET – Preliminary English Test;

CE - First Certificate in English;

CPE – Certificate in Communicative skills in English;

CCSE – Certificate of Proficiency in English;

IELTS – international English Language Testing – System.

დიდ ბრიტანეთში კოლეჯები და უნივერსიტეტები ფასიანია. პრესტიჟულ კოლეჯებში მინიმალური სასწავლო თანხა 12 000 დოლარია, სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში კი 5-8 ათას დოლარს შეადგენს.

ინგლისში განათლების ინსტიტუტი საკმაოდ რთული ორგანიზაციაა. ლონდონში არსებული ყველა პედაგოგიური კოლეჯი ამ ინსტიტუტს ექვემდებარება. აქ სტუდენტებისაგან მოითხოვენ პასუხისმგებლობას, საქმის ღრმა ცოდნას და მაღალ პროფესიონალიზმს, რომლიც უმთავრესია მათი მომავალი საქმიანობისათვის. მასწავლებლები ხელმძღვანელობენ უახლესი მეცნიერული მეთოდებით. იყენებენ სასწავლო მუშაობის სრულ სპექტრს, დაწყებულს ისეთი ტრადიციული მიდგომებიდან, როგორცაა ლექციები, სემინარები, ტუტორიალები, ინდივიდუალური და კოლექტიური საპროექტო მუშაობა, და დამთავრებული ისეთი “ავანგარდული” მეთოდებით, როგორცაა სწავლება კომპიუტერის მეშვეობით (Computer aided learning, CAL) და ინტერნეტის გამოყენება. პირველი საკმაოდ ღრმად გამოიყენება მათემატიკურ და სხვა ფუნდამენტალურ დისციპლინათა გაღრმავებული შესწავლისათვის. მეორე კი სასწავლო ინფორმაციის მოხერხებული მოძიების და მიღების საშუალებად რჩება.

საგნის ათვისების დონე, ძირითადად (შეფასების 50–80 პროცენტი) გამოცდით ფასდება. შეფასების დარჩენილ ნაწილს საკურსო სამუშაოებში მიღებული ნიშნები იძლევიან.

კოლეჯში წარჩინებულ სტუდენტებს ენიშნებათ სტიპენდია. ყოველი სტუდენტი კი, წახალისების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლებისაგან იღებს ჯილდოს, გარკვეული რაოდენობის თანხის სახით.

სასწავლო წელი სამ, რვაკვირიანი სემესტრის და ორი დღისაგან შედგება (ამ ხნის მანძილზე სასწავლებელში არდადეგები სამჯერ არის, ყველაზე ხანგრძლივი ივნისიდან ოქტომბრამდე).

ინგლისში, დედამიწის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები, ძირითადად ახალგაზრდები, არიან ჩასული სწავლის მისაღებად. აქ გართობისა და დასვენებისათვის უნივერსალური პირობებია შექმნილი, რომლებიც მსოფლიო სტანდარტებს აკმაყოფილებს.

---

### გამოყენებული ლიტერატურა:

- 1 თუ საზღვარგარეთ სწავლა გსურთ აშშ, დიდ ბრიტანეთში, ბროშურა, თბ., 1988
- 2 R.G.Duducava, L.I. Meburisvili., A BOOK OF ENGLAND THE HIGHLIGHTS OF THIS SOUTH AND THE LORTON., TBILISI., 1992
- 3 ჭკუასელი თ., უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა დიდ ბრიტანეთში., სტატია, თბ.,2001
- 4 Педагогическая Энциклопедия . Т, 2, Москва, 1965
- 5 Актуальные проблемы зарубежной высшей и средней специальной школы, 1988
- 6 Научно – технический прогресс и система образования (Великобритания, США, ФРГ, Франция, Швеция) Москва,1985

---

მიღებულია:17.06.2003